აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
6 მაისი, 2020

დადგენილება № 48(19/20)

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65(18/19) დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

შეტანილ იქნას ცვლილება აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №65(18/19) დადგენილების, მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის ა.1.2. და ა.3. ქვეპუნქტში და №1 დანართის („აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმები“) მე-13 მუხლის „კ“ პუნქტში, მე-14 მუხლის „დ“ პუნქტში და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

შევიდეს ცვლილება მე-2 მუხლის 2.5 პუნქტის ა.1.2. და ა.3. ქვეპუნქტებში და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა.1.2. **საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელობა:** დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არაუმეტეს **15 სთ.** ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში), სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა **(არაუმეტეს 10 საათისა ერთ დოქტორანტზე** სასწავლო წლის განმავლობაში), მაგისტრანტის ხელმძღვანელობა **(არაუმეტეს 5 სთ.** ერთ მაგისტრანტზე სასწავლო წლის განმავლობაში);

ა.3. <u>**სასწავლო-ორგანიზაციული:**</u> დეპარტამენტის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა; დოქტორანტის ხელმძღვანელობა (არანაკლებ **65 სთ.** ერთ დოქტორანტზე სასწავლო წლის განმავლობაში); მაგისტრანტის ხელმძღვანელობა **(არანაკლებ 35 სთ.** ერთ მაგისტრანტზე სასწავლო წლის განმავლობაში**);** სადოქტორო პროგრამით **გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელობა (არანაკლებ 20 სთ. ერთ** დოქტორანტზე ერთი სასწავლო წლის განმავლობაში); საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა; სასწავლო, საწარმოო, პედაგოგიური, პროფესიული, საველე და სხვა ტიპის პრაქტიკის ხელმძღვანელობა და ჩატარება, კურატორობა;

შევიდეს ცვლილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმები“ №1 დანართის მე-13 მუხლის „კ“ პუნქტის კ.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

კ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულო სასემინარო ნაშრომის:

კ.1. ხელმძღვანელობა (1სტუდენტზე)- 30 საათი (მ.შ. სასწავლო-საკონტაქტო-არაუმეტეს **10 საათისა და სასწავლო-ორგანიზაციული-არანაკლებ 20 საათისა.**

შევიდეს ცვლილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმები“ №1 დანართის მე-14 მუხლის „დ“ პუნქტის დ.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით

დ) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასემინარო ნაშრომის:

დ.1. ხელმძღვანელობა (1 სტუდენტზე) - 30 საათი (მ.შ. სასწავლო-საკონტაქტო-არაუმეტეს **10 საათისა და სასწავლო-ორგანიზაციული-არანაკლებ 20 საათისა.**

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი